საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი N 1/132 „18" ივნისი 2009 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
ზოგიერთი კრედიტორული დავალიანების შესახებ

2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე ირიცხება 4 კრედიტორი ორგანიზაცია, რომელთა კრედიტორული დავალიანებები წარმოშობილია 2004-2005 წლებში. შესაბამისად, უფლებამოსილი პირებისთვის მოთხოვნის უფლების წარმოშობიდან გასულია სამ წელზე მეტი. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში კრედიტორების მხრიდან ვალდებულების შესრულების თაობაზე მოთხოვნა არ დაფიქსირებულა, ხოლო ერთ-ერთი ორგანიზაციის მოთხოვნა, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, არ დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ხოლო 144-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც ვალდებულ პირს, მიზანშეწონილად მიაჩნია, ხანდაზმული კრედიტორული დავალიანებები, ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძვლით, 1 894.07 (ერთი ათას რვაას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და 07 თეთრი) ლარის ოდენობით და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილი ხანდაზმული კრედიტორული დავალიანება 25 924.00 (ოცდახუთი ათას ცხრაას ოცდაოთხი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით, თანდართული დანართის შესაბამისად, ჩამოწერილ იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბალანსიდან.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უზრუნველყოს აღნიშნული დავალიანებების ჩამოწერის მიზნით შესაბამისი საბუღალტრო გატარებების განხორციელება.

ვალერი ცერცვაძე

საბჭოს მდივანი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2009 წლის 18 ივნისის №1/132 გადაწყვეტილების
დანართი

ხანდაზმული კრედიტორული დავალიანებები
01.01.2009 წლის მდგომარეობით

№	კრედიტორების დასახელება	ხარჯვის მუხლი	წარმოშობის თარიღი	თანხა
1	შ.პ.ს. ,,ძლიერი სერვის ჯორჯია'	223	2005	498,18
2	შპს ,,საქართველოს ტელეკომი'	223	2005	1 110,89
3	ს/ს საქართველოს ელექტროკავშირი	223	2005	285,00
				1 894,07

სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი
ხანდაზმული კრედიტორული დავალიანება

1	მშენებლობის საინჟინრო მომსახურების სახაზინო საწარმო	31112	2004	25924,00

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი N 1/144 „18" ივნისი 2009 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს მოსამართლე
რ. ნადარაიას ფოთის საქალაქო სასამართლოში მივლინების შესახებ

„საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვ. მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2009 წლის 29 ივნისიდან:

1. ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს მოსამართლე რევაზ ნადარაია მივლინებულ იქნას ფოთის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. რევაზ ნადარაიამ, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად სამოსამართლო უფლებამოსილება განახორციელოს ჩხოროწყუს რაიონულ სასამართლოში.

ვალერი ცერცვაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი N 1/145 „18" ივნისი 2009 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე
მ. სვიანაძის წყალტუბოს რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

„საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2009 წლის 29 ივნისიდან:

1. საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მაია სვიანაძე მივლინებულ იქნას წყალტუბოს რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. მაია სვიანაძემ, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად სამოსამართლო უფლებამოსილება განახორციელოს საჩხერის რაიონულ სასამართლოში.

ვალერი ცერცვაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი